ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6155264

ნომერი: AR1926285

თარიღი : 04.10.2022

გაცემის თარიღი : 07.10.2022

გაცნობის თარიღი : 07.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 66ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კოღუაშვილი პ/ნ 35001018649
- რუსთავი 9 მმა ხერხეულიძის ქ. კორ. 2 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 04 ოქტომბრის №AR1926285 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 04

ოქტომბერს №AR1926285 განცხადებით მომართა გიორგი კოღუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079805 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079805 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №66ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.034.968), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 31 აგვისტოს №6104589 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 31 აგვისტოდან 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079805 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 608.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 608.7 კვ.მ., კომერციული ფართობი 724.7 კვ.მ-ის ნაცვლად 748.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 881.5 კვ.მ-ის ნაცვლად 886.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1158.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1159.3 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობი 1454.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1453.9 კვ.მ., საერთო ფართობი 7610.2 კვ.მ-ის ნაცვლად 7639.4 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ფართებში შეყვანილია კოლონების ფართობები. აღნიშნული ფართები დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, კოლონების გარეშე. ამასთან, წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ჯამური ფართობი (1159.2 კვ.მ.) და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი (1159.3 კვ.მ.) ერთმანეთთან შეუსაბამოა.
აქვე, განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 12 აგვისტოს №6079805 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები გასწორებული ფართობების დატანით, გეგმარების ცვლილების გარეშე.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 04 ოქტომბრის №AR1926285 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.